



[SAVE THE DATE]

CCBE CONFERENCE

# INNOVATION & FUTURE OF THE LEGAL PROFESSION

FRIDAY 21 OCTOBER 2016  
PARIS - FRANCE

COUNCIL OF BARS & LAW SOCIETIES OF EUROPE

RUE JOSEPH II, 40/8 - 1000 BRUXELLES

event@ccbe.eu - www.ccbe.eu

FOLLOW US ON



European lawyers

CCBE

Les avocats européens

pour le droit & la justice



# CCBE Info

## N50 2016 წლის მარტი

სარედაქციო:მადრიდი,ლონდონი,პარიზი,ბრიუსელი – მართლმაცულების მომავალი – შეთანხმების მემორანდუმი CCBE-სა და ABA-ს შორის – ინტიგამ ალიევის განთავისუფლება – ევროპელ ადვოკატთა დღე – ევროპელ ადვოკატთა ფონდის თვის პროექტი:უკრაინა – პროცედურული გარანტიები სისხლის სამართლის პროცესში – კონსულტაციები ჩჩბე-ის საიდენტიფიკაციო ბარათებზე – FBE-ის საერთო ყრილობა სტრასბურგში – ჩჩბე-ის მუდმივმოქმედი კომიტეტის მარტის სხდომა – პირადი და პროფესიული ცხოვრების ბალანსი:სასწავლო თემა 7ევროპული ადვოკატთა ასოციაციის და სამართლის საზოგადოებებისათვის.

### სარედაქციო:მადრიდი,ლონდონი,პარიზი,ბრიუსელი

ვერაფერი გაამართლებს ტერორისტულ მკვლელობებს დედაქალაქებსა და სხვა ადგილებში,სადაც ამავე მიზეზით უამრავი ადამიანი იქნა მოკლული.მათ ამით სურთ რომ დაგვაშინონ,ხელი შეგვიშალონ ნორმალურად ცხოვრებაში,მოგზაურობასა და ჩვენი დემოკრატიული ღირებულებების მშენებლობაში.

ჩვენ სრულად უნდა გავცეთ პასუხი აღნიშნულ საკითხს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ჩვენი მტრის სახელი და ვებრძოლოთ მას. თუმცა არაფერმა შეიძლება გაამართლოს ლტოლვილთა და ტერორიზმს შორის გავლებული პარალელები,ან სამარცხვინო შეთანხმება ევროკავშირსა და თურქეთს შორის,რომელიც მიზნად ისახავს ლტოლვილთა მოპყრობას,როგორც საქონლის გაცვლას.ევროპა აშენებულია ადამიანურ ღირებულებებზე .მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელშეკრულება შეიქმნა ჩვენს ფარგებს გარეთ, უდიდესი ინტერნირებულთა ბანაკი,რომელიც იმართება იმ რაზმისაგან,რომელიც უგულვებელყოფს და აბუჩად იგდებს კანონის უზენაესობას,საფრთხეს უქმნის პრესისა და მსჯავრდებულთა თავისუფლებას,ცდილობს დაადანაშაულოს ადვოკატები და ამისათვის იყენებს ფულსა და ძალაუფლებას.

აანალოგიურად ვერაფერი გაამართლებს,რომ ჩვენ გამოვიდეთ კანონის უზენაესობიდან,თუნდაც ჩვენი სახემწიფოს უსაფრთხოებისათვის.რის მიხედვითაც კანონმდებლობიდან გამომდინარეგაცხადებული იქნებასაგანგებომდგომარეობა,რის დროსაც აუცილებლად შეიზღუდება მოქალაქეთა ძირითადი უფლებები.ამ სახის თავდაცვა გამართლებული იქნება მხოლოდ

იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოში არსებობს ტერორიზმის საფრთხე და ირღვევა ადამიანთა უფლებები და თავისუფლებები.

არ შეიძლება ამ მდგომარებაში ადვოკატები იყვნენ გულგრილნი. არ შეიძლება მათ უგულვებელყონ გავრცელებული წესები,რომლებიც ეწინააღმდეგება ევროპის ფუნდამენტალურ ღირებულებებსა და კანონის უზენაესობის საფუძვლებს.ჩვენ გვესაჭიროება მუდმივი სიფხიზლე.

არ შეიძლება თვალი ავუქცოთ ლტოლვილთა მდგომარეობას საბერძნეთსა და ბალკანეთში. ამიტომ აუცილებელია ვიმყოფებოდეთ ცხელ წერტილებში სადაც მიმდინარეობს ლტოლვილთა რეგისტრაცია და დახარისხება. ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საზოგადოებების საბჭო მოუწოდებს ყველა ადვოკატთა ასოციაციასა და იურიდიულ საზოგადოებას რომ ხელი შეუწყონ აღნიშნულ პროექტში ევროპული ადვოკატების ჩართულობას ერთი წლით,რათა დავეხმაროთ საბერძნეთის ადვოკატთა ასოციაციას,რომელმაც უკვე ძალიან ბევრი რამ გააკეთა, დოკუმენტაციის მოწესრიგებასა და იურიდიული დახმარების გაწევაში.

CCBE- ის პრეზიდენტის წერილი თემაზე – ევროპელი ადვოკატები სლესბოს-ში.

მაიკლ ბენშოუ  
CCBE-ის პრეზიდენტი



## ევროპელ ადვოკატთა დღე

ევროპელ ადვოკატთა დღის 2016 წლის გამოშვებისთვის CCBE-მ წარადგინა მთავარი თემა: "მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა." მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა მართლაც მთავარი საზრუნავი, განუყოფელი ნაწილი და მთავარი მისიაა იურიდიული პროფესიისათვის. ეს თემა ადგილობრივი უნივერსალური პრინციპების განმარტების საშუალებას იძლევა. თუმცა, მას შემდეგ რაც, ერთი ევროპული ხმა უფრო პრივილეგირებულია, ჩვენ გთავაზობთ კონცენტრირება მოვახდინოთ ისეთ თემაზე, როგორცაა იურიდიული

დახმარება და ადვოკატის ხელმისაწვდომობა. იურიდიული დახმარების სფეროში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ამ თემაზე დისკუსიის წარმართვის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა ცვლილებების განხორციელების ბოლო ვადა 2013/48 ადვოკატთა ხელმისაწვდომობის წესებში არის 2016 წლის ნოემბერი, რომელიც უზრუნველყოფს უამრავ მასალას, რათა ხაზი გაუსვას პროცედურების დაცვის საჭიროებას.

ELD 2016 შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოგეწოდებათ შემდეგ თვეში.

## ევროპელ ადვოკატთა ფონდის თვის საკითხი: უკრაინა

ევროპელ ადვოკატთა ფონდს მონაწილეობა აქვს მიღებული უკრაინაში იურიდიული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროექტში, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა უკრაინაში ადვოკატებისათვის პროფესიული ტრენინგების ჩატარება, აუდიტორიის უფლებები და ადვოკატებისათვის პროფესიული დაზღვევის შესაძლო დანერგვა. პროექტი დაფინანსებულია

საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის მიერ და ხორციელდება CCBE-სა და უკრაინის ეროვნულ ადვოკატთა ასოციაციის თანამშრომლობით. პროექტი დაყოფილია სამ ეტაპად: პირველი ეტაპზე ევროპელი ადვოკატების მისია იყო ჩასულიყვნენ კიევში და შეხვედროდნენ დაინტერესებულ მხარეებს, როგორცაა UNBA და უკრაინის იუსტიციის სამინისტრო. მეორე ეტაპი ორიენტირებული იყო, რომ 2015

წლის ივნისში კიევში ჩატარებულიყო კონფერენცია. საბოლოო, მესამე ეტაპი მოიცავდა კონფერენციის შესახებ ანგარიშის შინაარსის შედგენას, მათ შორის რეკომენდაციებს, უკრაინაში იურიდიული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ანგარიში ჩაბარდა 2016 წლის თებერვალში და ხელმისაწვდომია : <http://europeanlawyersfoundation.eu/projects/external-projects/ukraine/>.

## საპროცესო გარანტიები სისხლის სამართლის პროცესში

CCBE-ი ევროპელ ადვოკატთა ფონდთან ერთად ატარებს ამომწურავ ანალიზს თავდაცვის პრაქტიკოსების თვალთახედვის გათვალისწინებით, რათა ეროვნულ დონეზე განხორციელოს შემდეგი ინსტრუქციები პროცედურული გარანტიები სისხლის სამართალწარმოებაში: უფლების ინტერპრეტაცია და თარგმნა (ინსტრუქცია 2010/64), ინფორმაციის უფლება (ინსტრუქცია (2012/13)), ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება და დაკავებისას მესამე მხარის ინფორმირების უფლება, კომუნიკაციის უფლება მესამე მხარესთან და საკონსულტო ორგანოებთან (ინსტრუქცია 2013/48).

პროექტი დაიწყო 2015 წლის აპრილში და გახსნილი შეხვედრა ჩატარდა 24 ივნისს ეროვნული ექსპერტების მონაწილეობით, რომლებიც დაინიშნენ CCBE-ის ნაციონალური დელეგაციების მიერ. კომისიის წარმომადგენლებმა მიიღეს ამ შეხვედრაში მონაწილეობა. ექსპერტებმა დაასრულეს სამი ყოვლისმომცველი კითხვარი სამი თვის პერიოდში. შემდგომი შეხვედრა შედგა 29 იანვარს ეროვნულ ექსპერტებს, კომისიის წარმომადგენლებსა და ფუნდამენტალურ უფლებათა სააგენტოს შორის. საბოლოო ანგარიში დაამტკიცა CCBE-ის დელეგაციამ 18 მარტს.

## კონსულტაციები CCBE-ის საიდენტიფიკაციო ბარათებზე

CCBE-ის საიდენტიფიკაციო ბარათი შეიქმნა 1978 წელს. ბარათს შეიძლება ჰქონდეს, როგორც ეროვნული, ისე ტრანსსასაზღვრო სარგებელი. ეს შეიძლება იყოს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის საშუალება ან მათი იურისდიქცია ფარგლებს

გარეთ, როგორც ეს განსაზღვრულია ბარათის მფლობელისათვის, როგორც აღიარებული ადვოკატი ერთ-ერთი წევრი ქვეყნიდან. ბარათი ასევე აღიარებულია ევროსასამართლოსა და საერთო სასამართლოების მიერ. CCBE მართავს კონსულტაციებს წევრებთან, რათა

მიიღოს მათი თვალთახედვა და მოსაზრებები ბარათის მომავლის შესახებ. ასე რომ ბარათი შეიძლება დარჩეს პრაქტიკული, ეფექტური და დაემატოს დამატებითი ღირებულებები.

## FBE-ის საერთო ყრილობა სტრასბურგში

ევროპის ადვოკატთა ფედერაციის გენერალური კონგრესი, სახელწოდებით: "ადვოკატის დიალოგი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსთან", გაიმართება 2016 წლის 12-14 მაისს სტრასბურგში, სასამართლოს მთავარ დარბაზში.

დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია: [www.fbe.org](http://www.fbe.org)

ელექტრონული რეგისტრაციისათვის: ([http://www.pepss.com/gti/0592/GTI\\_592\\_STRASBOURG/106/](http://www.pepss.com/gti/0592/GTI_592_STRASBOURG/106/))


CCBE-ის მუდმივმოქმედი კომიტეტის მარტის სხდომა



ჯინ-რეიმონდ ლემარი საუბრობს მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომაზე

18 მარტს CCBE მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომაზე მიესალმა ორ სტუმარ წარმომდგენს. პირველი, ჯინ-რეიმონდ ლემარი, რომელიც არის ევროპის ექსპერტთა და ექსპერტიზის ინსტიტუტის პრეზიდენტი, რომელმაც წარმოადგინა ახალი ევროპული პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა შეიქმნას ევროპელ ექსპერტთა კონტაქტების წიგნი, რომელიც ხელს

შეუწყობს CCBE-სა და EEEI-ის თანამშრომლობას. მეორე, ლიდია იზოვიტოვა, რომელიც არის უკრაინის ნაციონალური ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი, ხელმძღვანელი უკრაინაში ადვოკატთა წარმომადგენლობითი ასოციაციისა, რომელიც მოუწოდებდა CCBE-ის მხარი დაეჭირა უკრაინაში ადვოკატთა უფლებების დაცვაზე.



ლიდია იზოვიტოვა ასაჩუქრებს მაიკლ ბენშოუს უკრაინული საჩუქრით

ბალანსი პირად და პროფესიულ ცხოვრებას შორის: სასწავლო თემა შვიდი ევროპული ადვოკატთა ასოციაციისა და სამართლის საზოგადოებებისათვის

ევროპული სამუშაო პარიზში მიესალმება წარმომადგენელს, რომელიც დადებითად იანვარში შეხვედრა შეთანხმებული კვლევის დეტალებზე ბალანსი ცხოვრებაში უნდა დაიწყოს. ეს

განხორციელდება ის, საფრანგეთის მოგვიანებით ასოციაციებში. ამ სწავლებისათვის, გადაწყვიტა ობიექტები პროფესიონალები, ქალები თუ განაგრძობს განვითარებას მლიერი და

მონაცემები გამოცემისთვის, რომლის მასში იგეგმება. შეიმდგება გამართება 27 მაისს დელეგაციებში მსურველებს დაგვიკავშირდეთ: ([observatoire@cnb.avocat.fr](mailto:observatoire@cnb.avocat.fr)).

საბოლოო კვლევა შეგიძლიათ იხილოთ: ([http://www.ccbe.eu/fileadmin/user\\_upload/NTCdocument/Infographie\\_Vdef\\_2\\_1\\_1459331701.pdf](http://www.ccbe.eu/fileadmin/user_upload/NTCdocument/Infographie_Vdef_2_1_1459331701.pdf)).

ახლახან მიღებული ნაშრომები

CCBE-ის პოზიცია ინტერნეტით საქონლის შექმნისა და ციფრული მხარდაჭერის ხელშეკრულების წესების შესახებ.

CCBE-ის მოხსენება განაჩენთა პროექტის შესახებ, რომელიც ეხება იურისდიქციის აღიარებასა და გადაწყვეტილებათა აღსრულებას სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში.

მომავალი ღონისძიებები

**12-14/05** FBE-ის გენერალური კონგრესი, სტრასბურგში.

**20/05** CCBE-ის პლენარული სხდომა, ლიონში.